საქართ. მემარც. სოც.-ფედ. სარევ. პარტიის

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 700,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 30,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 200,000 მან. წინასარკეზე
4 „ 150,000 „ „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 2,000,000 მან.
4 „ 1,000,000 „

№ 479 შაბათი, მაისის 26 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 30,000

გულდამწვარნი და უნუგეშონი: მამა **ანდრონიკე იოსავა**, დედა ნინო, დები მარიამი, ანნა, ელენე, თამარი, ბარბარე, ძმა ვასილი, სიძე ემანუელი ფორდი მწუხარებით აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს, რომ სტამბოლში უდროვოთ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი და სანუგეშო

**გიორგი (ყორყიკა) იოსავა**

კალოუბნის ეკლესიაში კვირას, მაისის 27, დანიშნულია სულის მოსახსენებელი წირვა 10 საათზე, ხოლო პანაშვიდი 12 საათზე.

№ 417. 1—1

მაისის პირველ რიცხვებში ქ. სტამბოლში გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ

**გიორგი (ყორყიკა) ანდრონიკეს ძე იოსავა**

რასაც დიდი მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთ და მეგობრებს ბებია მისი მარია ივანეს ასული და უმცროსი ბიძა ვანო საბას ძე კუკავაძენი. კალოუბნის ეკლესიაში მაისის 27, კვირას დანიშნულია სულის მოსახსენებელი წირვა 10 საათზე, ხოლო პანაშვილი 12 საათზე.

№ 418. 1—1

## შემთანხმებელთა შეთანხმება

ბურჟუაზიასთან შემთანხმებლები 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალები მიუხედავად მათი პოლიტიკური ნიადაგის იგივეობისა, მაინც დამოუკიდებლად განაგრძობდენ არსებობას. ეს შეუთანხმებლობა შემთანხმებელთა სასარგებლო იყო, როგორც ბურჟუაზიისათვის ისე თვით ამ ინტერნაციონალებისათვის. 2 ნახ. ინტერნაციონალის რევოლიუციონური ფრაზეოლოგია და ოპორტიუნისტული საქმიანობა იტევდა მუშათა კლასის იმ ნაწილებსაც, რომელიც რევოლიუციონურად იყვნენ განწყობილნი. ამ ინტერნაციონალის ფაქტიური სიკვდილი (როდესაც დამოუკიდებელნი შეუჩდნენ შეიდემანელებს) და ფორმალური (როდესაც ჰამბურგის კონგრესზე იქნა გამოტანილი ამ ინტერნაციონალის დასასრული) მუშათა მასებისათვის დიდი გაკვეთილია.

2 ნახ. ინტერნაციონალის ტრაგედია, ტრაგედიაა იმ პოლიტიკის, რომელიც ცდილობს ბურჟუაზიასა და მშრომელ ხალხს შორის იყოს და რომელიც ამ გზით ვერაფერს ვერ აღწევს. პოლიტიკურ ძალთა დაჯგუფების მომენტში, განსაკუთრებით დღეს, როდესაც შრომა და კაპიტალი ერთი მხრივ და დამონებული და დამმონებელი ერები მეორე მხრით, უპირისპირდებიან ერთმანეთს, შეუძლებელი ხდება საშუალო ხაზის გამონახვა. ყოველი შუაზედ მდგომი პოლიტიკური ჯგუფი ბუნებრივად ან ხაზს იქეთ უნდა გადავიდეს ან ხაზს აქეთ, ასეთი ბედი ეწია 2 ნახ. ინტერნაციონალს. მან დაინახა თავისი პოზიციის ულაჯობა და დაუბრუნდა 2 ინტერნაციონალს, სადაც უფრო მეტი თანხმობაა რეფორმისტულ სიტყვასა და საქმეს შორის.

დღეს, როდესაც კაპიტალისტური ქვეყნები ემზადებიან ახალ გამოსვლებისთვის, როდესაც რურის ოკუპაცია ხდება, როდესაც ფაშიზმი საერთაშორისო ძალათ იქცევა, როდესაც გართულებული მდგომარეობაა შექმნილი ახლო-აღმოსავლეთში, ამ დროს გაერთიანებული ინტერნაციონალები საერთო მუშათა ფრონტისთვის კი არ ზრუნავენ, არამედ კომინტერთან მტრული განწყობილების დემონსტრაციას ახდენენ და ამით კიდევ ერთხელ ნათელყოფენ თავიანთ ოპორტიუნისტულ ბუნებას.

2 და 2 ნახ. ინტერნაციონალის გაერთიანებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც კომინტერნის საწინააღმდეგო ძალთა შეთანხმებას, რადგან როგორც პირველი, ისე მეორე არსებითად ერთსა და იგივე პოლიტიკურ ხაზზედ იდგა და მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობაში გამოდიოდა აქტიურ შემოქმედათ.

შესაძლებელია ითქვას, რომ ეს აქტი დადებითი ხასიათისაა იმდენად, რამდენათაც მუშათა კლასი წინ იქნება ერთი მხრივ რეფორმისტული და მეორე მხრივ რევოლიუციონური ინტერნაციონალი 2 და 3 ინტერნაციონალის სახით, რაც შუამდგომ ელემენტებს გზას გაუხსნის პირდაპირი მოქმედებისათვის.

შემთანხმებელთა შეთანხმება დაანახვებს მუშათა კლას თუ საით უნდა წავიდეს იგი.

## საქ. ს. ს. საგანგებო კომისიისაგან.

ქვემოდ მოყვანილი პირების შესახებ, რომლებიც დაპატიმრებული იყვენ სამხედრო ცენტრის და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მომზადების საქმის გამო, საქართველოს საგანგებო კომისიამ დაადგინა:

1. მაზნიაშვილი გიორგი ივანეს ძე 51 წლის, წარმ. აზნაური, ყოფ. გენერალი 1921 წელს საქართველოს საგანგებო კომისიამ მიუსაჯა დაპატიმრება 5 წლის ვადით, კონტრრევოლიუციის გამო, შემდეგ განთავისუფლებული იყო ამნისტიის ძალით. როგორც გამოირკვა გამოძიების დროს, ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე, როდესაც იგი იყო საქართველოს წითელ არმიის შტაბის უფროსათ, ის დასთანხმდა ეროვნულ დემოკრატ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის წინადადებაზე ეკისრა ეროვნულ დემოკრატების სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ციხიდან გამოსვლის შემდეგ მას კავშირი ჰქონდა სამხედრო ორგანიზაციასთან. მიესაჯოს უმაღლესი სასჯელი, მაგრამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გადატრიალების დროს გამოჩენილ მოღვაწეობის გამო უმაღლესი სასჯელი შეეცვალოს საქართველოს საქართველოს საზღვრებიდან გადასახლებით 5 წლის ვადით.

2. ჩიქოვანი რევაზ გიორგის ძე, 25 წლის, დაამთავრა საკავალერო სასწავლებელი, ყოფ. თავადი საქართველოს წითელ არმიის 1-ლ გუნდის უფროსი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ შეიარაღებულ ბრბოსთან კავშირისათვის მისაჯოს 5 წლით დაპატიმრება ციხეში, სასტიკი განკერძოებით.

3 **ციციშვილი ნიკოლოზ დავითის ძე** 22 წლის, დაამთავრა კადეტების სასწავლებელი, ყოფ. თავადი 1-ლი ქართული პოლკის წითელ-არმიელი, ბრბოში რომელსაც მიზნათ ქონდა დასახული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა, მონაწილეობის გამო, მიესაჯოს 5 წლით დაპატიმრება ციხეში სასტიკი განკერძოებით.

4. ბროძელი ივანე ნიკოლოზის ძე, 23 წლის, წარმ. აზნაური. სახალხო გვარდიის ცეიხგაუზის ყოფ. გამგე და საგურამოს რაიონის მილიციის უფროსი, შეიარაღებულ ბრბოში, რომელსაც მიზნათ ქონდა დასახული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდება, მონაწილეობის გამო, რაც გამოიხატა მენშევიკების ცენ. კომიტეტის წინადადებით ხალხის ბრბოში გადაგზავნაში. მიესაჯა 5 წლით დაპატიმრება სასტიკი განკერძოებით.

5. გვარამაძე დიმიტრი დავითის ძე 23 წლ. ყოფ. აზნაური, საქართველოს სამხედრო სკოლის მოწაფე, ბრბოში, რომელსაც მიზნათ ქონდა დასახული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდება, მიესაჯოს 5 წლის დაპატიმრება სისტიკი განკერძოებით.

საგანგებო კომისიამ შესაძლებლათ დაინახა: ჩიქოვანს, ციციშვილს, გვარამაძეს და ბროძელს დახვრეტის ნაცვლად მიუსაჯეს ციხეში განკერძოებით დაპატიმრება, მათი გულწრფელი აღიარებისა და ბრბოდან თავის ნებით გამოსვლის გამო.

6. ლაშხი მიხეილ იასონის ძე 49 წლის ვაჭარი, მენშევიკურ პარტიისათვის შეიარაღებულ აჯანყების მოსაწყობათ დახმარების აღმოჩენის გამო, რაც გამოიხატა იმაში, რომ მის მაღაზიაში იკრიბებოდა ოფიცრების ჯგუფი და ამ მაღაზიის სა შუალებით, მენშევიკების ცენტრ. კომიტეტის დავალებით, იღებდა ტანისამოსს და ფულს, მიესაჯოს 5 წლის დაპატიმრება სასტიკი განკერძობით. ამავე საქმეზე საქართველოს საგანგებო კომისიამ დაადგინა:

ვინაიდან გამოძიებაში აღმოჩნდა, რომ სამხედრო ცენტრის საქმესთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ, განთავისუფლებულ იქნენ.

1. ანთაძე ვლადიმერ ევსტაფის ძე.
2. გომართელი იოსებ იოსების ძე.
3. ვაჩნაძე დავით კაპანის ძე.
4. ვაშაკიძე ტარასი დავითის ძე.
5. იოსელიანი ივანე ბესარიონის ძე.
6. მესხი კონსტანტინე.
7 სუმბათაშვილი დავით ალექსანდრეს ძე.
8. გაბაშვილი კონსტანტინე.
9. ბერეჟიანი იოსებ ივანეს ძე.
10. ფალავა ივანე ანტონის ძე და
11. გედევანიშვილი იოსებ კონსტანტინეს ძე.

## რადიო-ტელეგრამები

### რუსეთი და ინგლისი

**მოსკოვი.** 23 მაისი. ინგლისის კოოპერატორების ედინბურგის კონგრესმა გაუგზავნა ცენტროკავშირის თავმჯდომარეს ამხ. ხინჩუკს მისი მიმართვის საპასუხოდ დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია: „ედინბურგის კოოპერატიულმა კონგრესმა სერა ტომასის და ალენ ბეის სიტყვების შემდეგ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ითვალისწინებს რა რუსეთის და ინგლისს შორის ეკონომიური ურთიერთობის შეწყვეტას და აგრეთვე რუსეთ-ინგლისის ურთიერთობის კრიტიკული მდგომარეობის გამო მშვიდობიანობის დარღვევის საფრთხეს, კონგრესი მოუწოდებს ბრიტანეთის მთავრობას ყოველივე ძალღონე იხმაროს იმისათვის, რათა მოლაპარაკების გზით გააუმჯობესოს ურთიერთობა რუსეთთან და ამრიგად, დაიცვას მშვიდოაიანობა ევროპაში. რეზოლიუცია გადაეცა დეპეშით კერზონს

**ლონდონი.** 24 მაისი. ლონდონის პოლიტიკურ წრეების საერთო აზრით, ინგლისის კაბინეტი მალე შეუდგება საბჭოთა რუსეთის საპასუხო ნოტის განხილვას.

მაგრამ უნიონისტებმა ხელი აიღეს ამ განზრახვაზე, რადგანაც მუშათა პარტიამ განაცხადა: თუ კერზონს გაიყვანთ პრემიერად, მაშინ გადაჭრილ ზომებს მივმართავთ და პალატის დათხოვნის საკითხსაც კი წამოვაყენებთო.

### ინგლისის მთავრობის კრიზისის გარშემო.

**პარიზი.** 24 მაისი. ინგლისის ახალმა პრემიერმა დეპეშით მიმართა პუანკარეს. დეპეშაში ბალდვინი გამოსთქვამს იმედს, რომ მეგობრული დამოკიდებულება ინგლისსა და საფრანგეთს შორის ძველებურად ურყევი იქნება. პუანკარემ გაუგზავნა მადლობის უპასუხა ბალდვინს და დაარწმუნა, რომ საფრანგეთის მთავრობას გულწრფელად სურს მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება ინგლისთან.

**პარიზი.** 24 მაისი. ამერიკის პრეზიდენტი გარდინგი მეტად კმაყოფილი დარჩა ბალდვინის ინგლისის პრემიერათ დანიშვნით. ამერიკის წრეებში დარწმუნებული არიან, რომ ბალდვინის დანიშვნა ხელს შეუწყობს ინგლისის ამერიკისადმი ვალების საკითხის მოგვარებას.

**ბერლინი.** 24 მაისი გერმანიის პრესის აზრით, ბალდვინის დანიშვნა გამარჯვებაა სიტებისა აგრარიებზე. ეს დანიშვნა მოასწავებს ევროპაში ეკონომიური მშვიდობიანობის აღდგენასაო, ამბობს გერმანული პრესა, თუმცა არავითარი იმედი არ აქვს რომ ინგლისის პოლიტიკა უფრო ხელსაყრელად შეიცვალოს გერმანიისათვის.

### ინგლისის მთავრობის შემადგენლობა.

**ლონდონი.** 24 მაისი. ინგლისის ახალ კაბინეტში შევიდნენ: ლორდი დებრი—სამხედრო მინისტრი, სამუელ ხერი—საჰაერო ფლოტის მინისტრი, ბრიჯმენი—შინაგან საქმეთა მინისტრი.

**პარიზი.** 24 მაისი. ლონდონში გავრცელებულ ხმების მიხედვით, ახალ კაბინეტში შევა აგრეთვე რობერთ სესელი.

**ბერლინი.** 24 მაისი. ლონდონის გაზეთების ცნობით, ლორდი ჩემბერლენი და რობერთ ხორნი ლონდონში დაბრუნდნენ, რადგანაც მათ პორტფელები შესთავაზეს ბალდვინის ახალ კაბინეტში.

### გერმანია და ანტანტა

#### ყველაფერი რიგზე არ არის.

**ბერლინი.** 21 მაისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, ცნობამ რომ ბელგიის მთავრობას სურს უპასუხოს გერმანიას მხოლოდ მოკავშირეებს შორის სრული თანხმობის შემდეგ და აგრეთვე ბელგიის ახალმა სარეპარაციო გეგმამ, დიდი აღელვება გამოიწვია საფრანგეთის წრეებში. თუმცა პუანკარე შეუძლებლად თვლის ასეთ ნაბიჯს, რადგან საფრანგეთსა და ბელგიას შორის სრული თანხმობა სუფევს, მაგრამ ეს მაინც არ ამშვიდებს საზოგადოებრივ აზრს, რომელიც ფიქრობს, რომ ბელგიისა და საფრანგეთს შორის დიდი უთანხმოება არის.

### შემთანხმებელთა კონგრესზე.

#### „პრავდის“ წერილი.

**მოსკოვი.** 23 მაისი. „პრავდა“ მოწინავე წერილში, რომელიც ეხება 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალების ლიდერების გამბურგის კონგრესს, სწერს: „დარბაზი მორთული იყო ბურჟუაზიული სახელმწიფოების ეროვნული დროშებით. რუსეთის „ეროვნული დროშის“ სახით მოსჩანდა თვითმპყრობელობის სამფეროვანი დროშა. კონგრესის „შინაარსი“ სავსებით შეეფერებოდა ამ „გარეგნობას“:

ველსის შესავალი სიტყვა წარმოადგენდა ცოფმორეულ ცილისწამებას კომუნისტებზე.

მენშევიკმა აბრამოვიჩმა იმ დროს, როდესაც კერზონი თავის რევოლვერს უმიზნებს საბჭოთა რესპუბლიკის შუბლს, საჭიროდ სცნო გამოსულიყო გააფთრებით საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

პოზიცია, რომელიც უკვე დაიკავა „გაერთიანებულმა“ კონგრესმა, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების აშკარა დაშლის, ვინაიდან, ეხლა, როდესაც ყოველივე პირობები იმას გვიკარნახებს, რომ გავაერთიანოდ მუშათა კლასის ძალები ფაშიზმის საწინააღმდეგო ბრძოლაში, ბრძოლაში საბჭოთა რუსეთისათვის, მენშევიზმის ლიდერები აშკარად დგებიან სამფეროვანი დროშის ქვეშ. მაგრამ მათი დღეები დათვლილია. მათი დამარცხების საშუალებით მოხდება პროლეტარიატის ნამდვილი გაერთიანება.

**გამბურგი.** 22 მაისი. დღეს დაიწყო გამბურგის კონგრესის საქმიანი სხდომები. პრეზიდიუმში არჩეული არიან გენდერსონი და აბრამოვიჩი. სხდომა გახსნა გენდერსონმა, რომელმაც პროტესტი განაცხადა ინგლისის ულტიმატუმის გამო საბჭოთა მთავრობის რეჟიმიო, სთქვა გენდერსონმა, გასაკიცხავია, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ კერზონმა არ გაწყვიტა კავშირი იტალიასთან, სადაც ბატონობს მუსოლინი და უნგრეთთან, სადაც თარეშობს ხორტი.

გერდენსონის შემდეგ გამოვიდა აბრამოვიჩი, რომელმაც განაცხადა: „ჩვენ ვებრძვით საბჭოთა მთავრობას, მაგრამ უარს ვამბობთ ინგლისის მხარის დაჭერაზე, რომელიც კვლავ ცდილობს რუსეთს ბლოკადის რკალი შემოარტყას“.

ყრილობამ ერთხმად მიიღო საპროტესტო რეზოლიუციები.

მოხსენებით მსოფლიო რეაქციის შეტევის შესახებ გამოვიდა ოტტო ბაუერი, რომელმაც აღნიშნა, რომ არის რამდენიმე წყარო, საიდანაც მოსალოდნელია ახალი ომები, ერთ ასეთ წყაროს შეადგენს რუსეთის საკითხი. კაპიტალისტური სახელმწიფოები არ ამბობენ უარს რუსეთზე ახალ თავდასხმების მოწყობაზე. სამხედრო საფრთხის მეორე წყაროს წარმოადგენს გერმანიის საკითხი. საფრანგეთის იმპერიალიზმი მფარველობს გერმანიის კონტრ-რევოლიუციას, რომელთა გაძლიერება უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს ზავისა და დემოკრატიულ სახელმწიფოებისათვის. შემდეგი არის იტალია, სადაც ბატონობს მოძალადეების პატარა ჯგუფი, შემდეგ უნგრეთი, რუმინეთი და ავსტრია, სადაც რეაქცია ძლიერდება ნაციათა ლიგის დახმარებით. ფაშიზმის დამარცხება, სთქვა ბაუერმა, შეიძლება არა დემოკრატიული ლოზუნგებით, არამედ ძალით.

მაგრამ საყოველთაო განცვიფრება გამოიწვია ბაუერის უკანასკნელმა სიტყვებმა: „მე არ ვიძლევი წინადადებას აჯანყების ან საყოველთაო გაფიცვის შესახებ, მე საჭიროდ მიმაჩნია სოციალისტური პარტიების თანამშრომლობა, მათი საპარლამენტო გამოსვლების და ძალების კოორდინაცია.“

ბაუერმა სრული სიჩუმით აუხვია გვერდი ერთიანი ფრონტის საკითხს და ამხ. ვოროვსკის მოკვლას. მთელი სიტყვის განმავლობაში ბაუერს ერთხელაც არ უხმარია სიტყვა „კომუნისტი“.

### ახლო აღმოსავლეთში.

**რომი.** 23 მაისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით ინგლისის 5 განმანადგურებელს ბრძანება მიეცა მალტიდან დარდანელისაკენ გავიდეს. განმანადგურებლებთან ერთად გავა კრეისერი „აირონ დიუკ“. ინგლისის თითქმის მთელი ხმელთაშუა ზღვის ესკადრა თავს იყრის დარდანელთან. ფლოტის კონცენტრაცია გამოიწვია ოსმალეთ-საბერძნეთის კონფლიქტის გართულებამ.

**ანგორა.** 23 მაისი. ეგვიპტის დელეგაციამ გამოაქვეყნა პროკლამაცია, რომელშიაც აკრიტიკებს ეგვიპტის ახალ კონსტიტუციას და აღნიშნავს, რომ ძირითადი საკითხი—სუდანის შესახებ, კონსტიტუციას არ გადაუჭრია.

**ანგორა.** 23 მაისი. სირიის გაზეთების ცნობით, ომანში ჩავიდა კავკასიელი კონტრ-რევოლიუციონერი ახმედ-ხანი თავის ჯგუფით. გაზეთები უწოდებენ მათ „კავკასიის დიდ ემირებს“, რომელთაც სურთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამხობა.

**ანგორა.** 23 მაისი. პალესტინის გაზეთების ცნობით, ინგლისის მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს იორდანის მხარის ემირთან აბდულთან მისი პალესტინის კაროლათ დანიშვნის შესახებ.

**ლონდონი.** 24 მაისი. „დეილი მეილის“ კორესპონდენტი ლოზანიდან იუწყება, რომ ვენეზილოსმა წინადადება მისცა ოსმალეთს უარი განაცხადონ სამხედრო ანაზღაურებაზე, რის ნაცვლად მათ მიეცემა კარაგაზი, სადგურით და რკინის გზის ხა-

ზით. ისმეტ-ფაშა თანაგრძნობით შეხვდა ამ წინადადებას. ოსმალეთის დელეგაციის წევრები ფიქრობენ, რომ ისმეტ-ფაშა ამ წინადადების შესახებ აცნობებს ანგორას იქიდან ინსტრუქციების მისაღებად.

### ლოზანას კონფერენცია

**პარიზი.** 22 მაისი. საფრანგეთის პრესის აზრით მდგომარეობა ლოზანას კონფერენციაზე ძლიერ არევდარეულია.

**პარიზი.** 22 მაისი. „ერ ნუველი“ ილაშქრებს ოსმალეთის და საფრანგეთის დიპლომატიის წინააღმდეგ, რომელიც, გაზეთის აზრით, წარმოადგენს სათამაშოს ინგლისის და რუსეთის ხელში, რომელთაც უერთდება აგრეთვე იაპონია და ამერიკა.

## „გადადებულია“.

ყოველგვარი მოქმედება-საქმიანობა ქმნის ერთგვარ, შესაფერ სულიერ განწყობილებას, რომლის ზეგავლენით უკვე ქეთდება ესა თუ ის საქმე. არა თუ თვით პროცესი მოქმედებისა, არამედ მხოლოდ განჭვრეტა, წინასწარ გათვალისწინება მოქმედების გეგმისა, მსგავს მოვლენას ახდენს ადამიანის სულზე.

მოყვანილი აზრი იმდენად მარტივია და ყველასათვის ცნობილი რომ მეტი განმარტებისათვის მაგალითების მოყვანაც არ არის საჭირო. მხოლოდ მოქმედებისათვის აღებული ხაზის მოულოდნელად შეცვლა, როდესაც თვით შეცვლის შესაძლებლობაც წარმოუდგენელი აქვს სამოქმედოთ გაწვეულ პირს, სტანჯავს, ღალავს სულიერათაც და ხორციელათაც მას.

„ამა და ამ დღეს სკოლის ბავშვების დღესასწაულია დანიშნული“ გეგმაც შემუშავდა ამ დღესასწაულის ჩატარებისათვის. სკოლებს სათანადო უწყებამ აცნო, საზოგადოებას—გაზეთებმა. სიხარულით მოელიან მოწაფეები დანიშნულ დღეს; ემზადებიან ბავშვების მოკეთეებიც და... გაისმა ხმა **„გადადებულია“**.

„ამა და ამ დღეს წითელ არმიელებზე განათლების მუშაკთა მიერ შეფობის მიღებაა დანიშნული“ ორნივე მხარე ემზადება. წინდაწინვე განიმსჭვალენ ასეთი ნაბიჯის, სიდიადის მნიშვნელობით. და... გაისმა ხმა: **„გადადებულია“**.

„ამა და ამ დღეს „საურთიერთო დამხმარე კასის დელეგატთა კრება, [illegible] მნიშვნელოვანი კითხვები [illegible] გაგვიანდეს (ზოგი [illegible]-ბიდან მოდიან) და... გაისმა ხმა: **„გადადებულია“**.

„ამა და ამ დღეს ნაძალადევის მუშათა კლუბში დადგმული იქნება „ქეთო და კოტე“ დარბაზი ხალხით გაიჭედა მოუთმენლად ელიან ფარდის ახდას და... გაისმა ხმა „გადადებულია“.

კიდევ გნებავთ მაგალითები? აუარებელია ჩემო მკითხველო? მაგრამ თქმულიც საკმარისია?!

კი მარა უკაცრავად სიტყვაა, „წაჯექ-უკუჯექიობის“ თამაში ხო არ გისწავლიათ ამხანაგებო?!

თავს იმართლებთ? ვიცი. ჩათახის ქარხნის ამუშავება... კიდევ... ბევრი რამე მიზეზები.

თავში მწყობრად აზრის ამუშავება რო მიზანშეწონილად და წინდახედულად გასცეთ განკარგულებები! ხო... მაგიც საჭიროაო ვიღაცა ამბობდა და სანამ ეს არ არის—გებრალებოდეთ: ფეხები, ნერვები და დრო, სხვა უსიამოვნებამ თქვენი ჭირი წაიღოს.

Топ.

P. S. ეს წერილი დაწერილი იყო როდესაც 24-ს შესდგა მოწაფეთა დღესასწაული. ამბობენ კარგად ჩატარდაო. ყველაფერი კარგია, რაც კარგათ თავდება.

T.

## ახალი ამბები

— **კინემატოგრაფები.** მთავარ პოლიტიკურ განათლების ორი კინემატოგრაფი გადაეცა განათლების კომისარიატის კინ-სექციას. წმინდა შემოსავალი აღნიშნულ კინოებიდგან კინო-სექციამ უნდა მისცეს ყოველ კვირეულად მთავარ პოლიტიკურ განათლების მმართველობას.

— **მთავარი სახელოვნო კომიტეტი.** განათლების კომისარიატთან არსებული მთავარი სახელოვნო კომიტეტი აცხადებს მწერალთა საყურადღებოთ, რომ ყოველნი ნაწარმოები, წიგნად დასაბეჭდი და ან სცენაზე დასადგმი, რომლისათვისაც საჭიროა მთავარ სალიტერატურო სამმართველოსაგან ნებართვა, პირველად განხილულ უნდა იქმნას მთავარ სახელოვნო კომიტეტში.

— **უნივერსიტეტთან არსებული პოლიტიკური ფაკულტეტი.** განათლების კომისარიატი აცხადებს იმ ტეხნიკუმის მოწაფეთა საყურადღებოთ, რომელნიც წელს ამთავრებენ სწავლას, რომ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებობს პოლიტეხნიკური ფაკულტეტი შემდეგი დარგებით: მექანიკური, საამშენებლო და სამთო-მადნო. სტუდენტთა ჩარიცხვა აღნიშნულ ფაკულტეტზე დაიწყება ა. წ. 15 სექტემბერს; საჭიროა დამატებითი გამოცდების ჩაბარება მათემატიკისა და ფიზიკაში. დაწვრილებითი პირობების და პროგრამების მიღება შეიძლება წინასწარ ფაკულტეტის კანცელარიაში.

— **ინვალიდების კვირეული.** ვინაიდგან ინვალიდების კვირეულის განმავლობაში შემოწირულების დროს გახშირდა ბოლო დროს გაუგებრობანი. ამის გამო კვირეულის ჩამტარებელი ცენტრალური კომისია მოვალეთ სთვლის აცნობოს მოქალაქეთ, რომ:

1) შემოწირულების შეგროვება მოხდება მხოლოდ კაფეებში გასტრონომიულ მაღაზიებში, ბუფეტებში და სატრაქტირო დაწესებულებებში,

2) სავალდებულო შემოწირულება განისაზღვრება 10 პროცენტით ყოველ ნასყიდზე,

3) მყიდველს ეძლევა უფლება, რათა თვალყური ადევნოს პროცენტის აღრიცხვაზე საკვიტანციო წიგნში,

4) ყოველნაირ გაუგებრობის შესახებ მოქალაქეებმა უნდა მიმართონ წერილობითი ცენტრალურ კომისიას. რუსთაველის პროსპექტი № 28, 9—3 საათამდე, ყოველ დღიურათ.

**შეღავათიანი სასადილო.** კომმუნისტურ საზოგადოების კოოპერატივმა გახსნა სოლოლაკის ქუჩაზე სასადილო, სადაც საბჭოთა მოსამსახურეებს და მუშებს აძლევენ სადილებს გაცილებით შეღავათიან ფასებში.

— **საზაფხულო აგარაკები.** ჯანმრთელობის კომისარიატთან არსებული მთივარი საიგარაკო განყოფილება ამით აცხადებს ყველა მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ყველა საიგარაკო ოთახები დაყოფილია სამ კატეგორიათ: პირველ კატეგორიის ოთახები ღირს მთელ სეზონის განმავლობაში 80 კაპეიკი კვადრატიულ არშინზე ოქროს კურსით, მეორე კატეგორია—60 კაპეიკი და მესამე კი—40 კაპ. პროფკავშირის წევრებს ეძლევათ შეღავათი 50 პროც. აგარაკები ქირავდება უავეჯეულოთ. წავერში, მანგლისში და ბორჯომში უკვე აღარ არის თავისუფალი ოთახები.

— **დავკარგე** პირადობის მოწმობა სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ დარგის მესამე კურსის სტ. კოლა ვასილის ძე ახვლედიანმა ჩაითვალოს გაუქმებულათ.

— **ბირჟა.** საბჭოთა ნიშნები 18.000 მანეთი; ჩერვონეცი—10,700,000 მან. გირვანქა სტერლინგი ეფექტიკი—12,500,000 მან. ჩეკი—11,500,000 მან დოლარი—2,700,000 მანეთი. ეფექტიკი, ჩეკი — 2,450,000 მანეთი. ოსმალური ქაღალდის ლირა— 1,700,000 მ. ამიერ-კავკასიის ბონებით.

— **საფონდო-სავაჭრო ბირჟის** მუშაობა, რომელიც დროებით შეწყვეტილი იყო რეორგანიზაციის გამო, განახლდება 26 ამა მაისს.

— **ვალიუტა.** ბირჟის წევრებმა და მუდმივ მოსიარულეებმა, რომელთაც სურთ ყიდვა ან გაყიდვა ვალიუტისა, უნდა მიმართონ ხოლმე ბირჟის უფროს მაკლერს ყოველნაირ ცნობების მისაღებად.

— **სამხედრო რევტრიბუნალის ხესია** მიემგზავრება დასავლეთ საქართველოში ქართულ ჯარის საქმეების განსახილველად.

— **შრომის ბირჟაში.** შრომის ბირჟაში 22 მაისს გამოცხადდა 1253 უმუშევარი, ამ უიცხვიდან 523 კაცი და 730 ქალი. კვლავ ჩაირიცხა 171 უმუშევარი: 105 კაცი და 66 ქალი. მოთხოვნილება კი იყო 31. გაიგზავნა სამუშაოზე 137 უმუშევარი: მაყ მაკაცი 119 და ქალი 18. აღდგენილია უფლებაში 5, მამაკაცი 3, ქალი 2.

## საბავშო დღესასწაული.

საქართველოს სინამდვილეს ჯერ არ ახსოვს საბავშო დღესასწაული. მაისის 24, ჩვენს დედა ქალაქში და პროვინციაში მოეწყო ბავშთა პირველი დემონსტრაცია, სახალხო განათლების კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარ მმართველობის ხელმძღვანელობით.

ამ ჟამად ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ საბჭოთა მთავრობა ენერგიულ მუშაობას აწარმოებს კულტურულ ფრონტზეც და თავის ზრუნვის ერთ ერთ მთავარ საგნად აქვს გადაქცეული მოსწავლე ახალგაზრდობის სულიერი ამაღლება. ქართული სკოლის ისტორია გაცილებით მდიდარეა უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში, და უფრო მეტ მასალას შეიცავს შესასწავლად, ვიდრე ეს წარსული ათეული წლების სიგრძეზეა გადაშლილი. იმ დროს, როდესაც თითქმის ყველა სახელმწიფოებში, როგორც ევროპაშიც ისე აზიაშიც კი, დიდი ხანია არსებობს საბავშო დღეები. საქართველოში იგი დღემდე არ არსებობდა და ამ მხრივაც, როგორც პირველი ისტორიული მაგალითი ჩვენში, ბავშთა დღე უდიდესი მნიშვნელოვანია.

საქართველოში ამიერად შეიქმნება ტრადიცია ბავშთა დღეების. საქართველოს ხელისუფლებამ ამ დღისთვის უნდა გადახედოს თავის წარსულ ნამუშევარს და გაითვალისწინოს თუ რა შეიქმნა ბავშთა სამეფოს სასარგებლოდ განვლო დრომ და როგორი უნდა იყოს მომავალი პერსპექტივა.

ბავშთა დღემ ორგანიულად უნდა დააკავშიროს აღმზრდელი აღსაზრდელთან და უკანასკნელის სულიერი თვისებების გარკვევა უნდა ედვას სარჩულად. მის ჩატარებას ჩვენთვის ყველაზე უფრო უძვირფასესი და სანუკვარია ბავშის სულიერ ძალების განვითარება უკანასკნელთა სათუთი გრძნობა მოითხოვს ზედმეტ ზრუნვას და სიყვარულს ჩვენი მომწიფებული თაობისაგან.

ყოველ წლიურად, მაისის დღეებში, ჩვენს ქუჩებს გამოეფინება საქართველოს ჯერ უშლელი და უცნობ პაწიების სახენი, და ქუჩამ უნდა შესძლოს ჩვენი მოზარდი თაობის უმეშვეო ხილვა და გაითვალისწინოს რაიმე ქართველი ერის მომავლისა.

უჩვეულო სანახაობას წარმოადგენდა ტფილისი მაისის 24. დილის 10 საათისთვის თავისუფლების მოედანზე ქალაქის ყველა კუთხიდან იკრიბება მოწაფეთა გუნდები. ყველა ცალკე სკოლებს წინ მოუძღვის ორკესტრი და წითელი დროშები სკოლის სახელწოდების და დღის შესაფერისი ლოზუნგების წარწერით.

## ფიზიკური კულტურა.

რევოლიუციონურ მთავრობას, მის თანდათანობით განვითარებას თან მოჰყვა სრულიად ახალ ახალ საკითხების გარკვევა მშრომელთა ინტერესების მოთხოვნილებათა მიხედვით. მას შემდეგ, რაც გაafთრებული ბრძოლა რეაქციონური ელემენტების წინააღმდეგ უკანასკნელთა დამარცხებით დამთავრდა, სწორედ ამ შენელების ხანაში, თუ კი შეიძლება ასე ვსთქვათ, ვინაიდან ბურჟუაზიის იარაღის ჟღარუნი და მუქარა პროლეტარიატისაკენ არ შეწყვეტილა. მაგრამ წარსულ წლებთან ბრძოლის შენელების ხანაში ვიმყოფებით და შესაძლოა ლაპარაკი და ბჭობა ისეთ საკითხებზე როგორიც არის ხალხის ჯანსაღობის საკითხი. დიახ! დადგა დრო, როდესაც ეს საკითხი რიგში უნდა დაისვას, ამ საკითხით უნდა დაინტერესდეს მთავრობა, მთელი მშრომელი ხალხი.

ხალხის გაჯანსაღების საკითხი, მასების ჯანმრთელობაზე, მზრუნველობა—ეს არის ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი, ეს ახლად აღმშენებლობითი სახელმწიფოებრივ პროცესში უეჭველად სერიოზული და მასთანვე დიდად ღირსშესანიშნავი საკითხია.

მშრომელთა კლასი, რომელიც მუდამ ჟამს ემზადება ბურჟუაზიასთან გადამწყვეტ ბრძოლისათვის, გამარჯვებისათვის ყოველივე რაციონალურ საშუალებათა გამოყენებას; ასეთ საშუალებათ ბრძოლაში გასამარჯველად უნდა ჩაითვალოს ფიზიკური კულტურა, რაც მშრომელ ახალგაზრდობას ფიზიკურ გადაგვარება-გადაშენებას გადაარჩენს და რაც მის ძალღონეს გაამაგრებს და განავითარებს. ყოველივე ეს სავსებით ამართლებს ფიზიკურ კულტურის საქმეს, როგორც მუშათა კლასის საქმეს.

მშრომელთა ახალგაზრდობის ფიზიკურად აღზრდა, მათი ფიზიკურად გადაგვარების გზიდან ამოყვანა მათი გამაგრება სხეულით არის გამაგრება სულითაც, ვინაიდან სულის სიმაგრე და სიმტკიცე დამოკიდებულია სხეულის სიმტკიცე-სიმაგრეზე.

მართალია საჭიროა ბრძოლა სნეულებასთან, წამლობა სნეულებათაგან,—ეს ყველაფერი თავისთავად, მაგრამ უფრო საჭიროა აქედანვე ვებრძოლოთ ამ სნეულებათა გამომწვევ პირობებს. ცხადია, თუ კი ჩვენ მოვსპობთ აღნიშნულ სნეულებათა გამომწვევ პირობებს, თავისთავად მოისპობა ყოველივე სნეულება, რომელიც ადამიანის ერთად ღრღნის და ანადგურებს ადამიანთა კრებულის საერთო ცხოვრებას.

ამდაგვარ სნეულებათა აცილება, წინასწარ ზომების მიღება, სნეულებათა გამომწვევ პირობების გაუქმება, ანუ, მეცნიერულად რომ ვსთქვათ, პროფილაქტიკა, პროფილაქტიური ზომების აღმოჩენა თავიდანვე—ეს არის თანამედროვე მეცნიერული მტკიცე თვალსაზრისი, რომელიც თანდათანობით საპატიო ადგილს იკავებს სნეულებათა წინასწარ ბრძოლის საქმეში და ამ პროფილაქტიურ საშუალების უძლიერეს და მნიშვნელოვან ფაქტორად უეჭველად უნდა ჩაითვალოს ფიზიკური კულტურა.

სწორედ ამ თვალსაზრისით მიუდგა საბჭოთა ხელისუფლება ხალხის გაჯანმრთელების საკითხს, სწორედ ამ საშუალებით ითვალისწინებს საბჭოთა ხელისუფლება საერთოდ ახალგაზრდათა გაჯანსაღების საკითხს, იქნება ეს ჯარში, სკოლაში, თუ ქარხანაში,—იქნება ეს სოფლად თუ ქალაქში, მთაში თუ ბარში.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ზომსადარით, ამ გასულ ორი წლის განმავლობაში უპირველესად ყოვლისა რუსეთში—ცენტრში ამ საკითხს სათანადო ყურადღება მიექცა. პეტერბურგს და მოსკოვს სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის ინიციატივით დაარსდა ფიზიკურ კულტურის უმაღლესი სახელმწიფო ინსტიტუტები, რომელთა მიზანს შეადგენდა:

1) ფიზიკურ აღზრდის, ფიზიკურ განვითარების, ფიზიკურ განათლების და შრომითი პროცესების საკითხების სამეცნიერო განხილვა.

2) სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა მოთხოვნილებათა მიხედვით სამეცნიერო-კონსულტატიური მოქმედება.

3) ყოველმხრივი დახმარება ხალხის ფიზიკურ კულტურის ამაღლებისათვის და ამ ამაღლების საშუალებათა შესწავლა.

4) ფიზიკურ კულტურის მასწავლებელთა და მწრთვნელთა მომზადება.

5) მკურნალთა და პედაგოგთა შორის ფიზიკურ კულტურის დარგში ცოდნის შევსება.

6) მცხოვრებთა ფართო მასსებში ფიზიკურ კულტურის ცოდნის პოპულიარიზაცია.

ასეთია მიზანი ფიზიკურ კულტურის უმაღლეს ინსტიტუტისა რუსეთში, სადაც მოწვეული არიან ამ დარგში ცნობილი მეცნიერნი და სწარმოებს სათანადო ძიება და მეცნიერული გამოკვლევები, თუმცა სამწუხაროდ საქმის მსვლელობა ამ გამოკვლევათა და ძიების იქით ვერ მიდის, ვინაიდან ყოველივე ეს შემოიფარგლა ინსტიტუტუტის ვიწრო მეცნიერულ წრეში და ფართო მასსები მიცემულია უთანწყობრივო სწავლას, ვინაიდან დღემდის არ არსებობს არც ერთი ტანვარჯიშული თანწყობა, რომელიც შესაძლოა გატარებულ იქნეს რუსეთის ზომსადარით. ზოგი ლესგაფტის თანწყობას მისდევს, ზოგი შვედურს. ზოგი სოკოლურს და სხვადასხვა.

რასაკვირველია ასეთი ქანაობა აფერხებს საქმეს.

ჩემს მიზანს არ შეადგენს შევეხო ამა თუ იმ ტანვარჯიშულ თანწყობას, ამას როგორმე სხვა დროს ვიკისრებთ, აგრეთვე ამ წერილის საგანს არ შეადგენს შევეხოთ დაწვრილებით იმის განმარტებას, თუ რა დიდ მნიშვნელოვანი და სასარგებლოა საერთო ფიზიკური აღზდა,—არამედ საერთოდ ვეხებით საკითხს, რომელიც დღეს-დღეობით ამიერ-კავკასიის ფარგლებით იწვევს გამოხმაურებას: ამ საკითხზე ალაპარაკდა ორგანიზაციები, ამ საკითხზე გამოქვეყნდა მრავალი წერილები ადგილობრივ პრესაში, ამ საკითხით დაინტერესდა ყველანი და ამხილებენ და აშუქებენ მას როგორც სრულიად ახლად დაბადებულ საკითხს, რომელიც ვითომც არც კი არსებობდა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენთვის, მე ვგულისხმობ იმ ჯგუფს, რომელიც უკვე ხუთი წელიწადია საქართველოს ფარგლებში მოქმედობს ამ საკითხის გაშუქებაში, ამ საკითხის შესწავლაში და მის ირგვლივ მართლაც ყოველ მხრივ მუშაობას აწარმოებდა ყველგან სადაც ეს ხალხის კეთილდღეობისათვის იყო საჭირო: ჯარში, სკოლაში თუ სკოლის გარეშე.

ის, რაც ბევრისათვის ახალია და გამოურკვეველია დღესაც და რაც დღევანდელ საგანგებოთ მოწვეულ კრებაზე ამიერ-კავკასიის უმაღლეს ფიზიკურ კულტურის საბჭოს მიერ იქნება განხილული —ყოველივე ეს დიდი ხნის გადამუშავებულია და აღნიშნულ ჯგუფის იდეას შეადგენდა.

ფიზიკურ კულტურის უმაღლესი სასწავლებელი, სადაც სათანადო იქნებოდა დაყენებული ეს საქმე, რომელშიც მოწვეული იქნებოდენ მეცნიერიმკურნალნი და ტანვარჯიშობის დარგში მცოდნე სპეციალისტები, სადაც გაიგზავნებოდა ტანვარჯიშობის მწვრთნელთა და მასწავლებელთა კადრი, რომელთაც უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში სათანადო არსებულ ტანვარჯიშობის საშუალო სამზადისიდან (კურსებიდან! საგანგებო მომზადება მიეცათ),—აი სწორედ ეს აზრი დიდი ხნის მომწიფებულია და მას უნდა მიეცეს განხორციელება.

ვინაიდან ტანვარჯიშობის მასწავლებელი ან მწვრთნელი, რომელსაც დიდი დავალება დაეკისრება ხალხის გაჯანმრთელება-გაჯანსაღების საქმეში, რასაკვირველია სათანადოთ უნდა იყოს მომზადებული, როგორც სპეციალურ ტანვარჯიშულ საგნებში, აგრეთვე სამკურნალო დარგის საგნებშიც.

ამ შემთხვევაში როდესაც ჩვენს წინაშე დგას საკითხი ამიერ-კავკასიის ზომსადარით, ცხადია საშუალება უნდა მიეცეს ამიერ-კავკასიის ფედერაციაში მყოფ რესპუბლიკებს თავიანთ ფარგლებში მოაგვარონ ეს საქმე, თავიანთ ფარგლებში განავითარონ ეს საქმე, აზიარონ ამ საქმეს თავის მშრომელი მასები, რათა ამ საკითხის განხორციელება საქმეთ იქცეს და იქცეს უეჭველად ახლო მომავალში.

ამხანაგ გიორგი ნიკოლაძის გამოსვლა ამ საკითხზე ირგვლივ სათანადო მოხსენებით დღევანდელ კრებაზე, სადაც ის დაიცავს იმ აზრს, რომ ამიერ კავკასიის ფარგლებში ფიზიკურ კულტურის სათანადო დონეზე დაყენებისათვის საჭიროა ადერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკებში არსებულ სამკურნალო ფაკულტეტებთან გაიხსნას სათანადო განყოფილებანი, სადაც ორი-სამი წლის განმავლობაში მომზადდებიან გამოცდილი ხელმძღვანელები აღნიშნულ დარგში.

ის აზრი, რომ ეს განყოფილებანი უნდა არსებობდეს უეჭველად სამკურნალო ფაკულტეტთან და არა სხვა ფაკულტეტთან, მისაღები და გამართლებულია იმით, რომ ჩვენ უმთავრესად საქმე გვექნება ცოცხალ ადამიანთან, რომლის შესწავლაც იქნება უმთავრესი ამოცანა აღნიშნულ კურსის გავლის დროს.

საბუნებისმეტყველო-სამკურნალო საგნები, როგორიც არის ბიოლოგია, ანატომია ნორმალური, პლასტიკური და დინამიური, ფიზიოლოგია, განსაკუთრებით მამოძრავებელ ორგანოთა ფიზიოლოგია, ანტროპომეტრია, ჰიგიენა, ქირურგია, უმთავრესად დესმურგია და პირველი დახმარება უბედური შემთხვევების დროს, ფსიქოლოგია, ბავშის ორგანიზმის თვისებანი და ამ ორგანიზმის ნევროლოგია და ნერვოფსიქოპატოლოგია—ყოველივე ეს საფუძვლად დაედება ფიზიკურ კულტურის შესწავლას, თუ არ მივიღეთ მხედველობაში ის პედაგოგიური და წმინდა ტანვარჯიშული საგნები და აგრეთვე პრაქტიკული ტანვარჯიშობა, რომელიც შეერთებულად მოგვცემს მთლიან სახეს მთელ თანწყობრივ მუშაობისას ამ დარგში.

ასეთია ჩვენი მთავარი მიმართულება ამ საკითხში, ამისკენ უნდა მივისწრაფოდეთ, თუ გვინდა რომ მომავალში მაინც ჩვენი ხალხი და ჩვენთან ერთად ჩვენი მეზობელთა მშრომელნი გამოვიყვანოთ გაჯანსაღების გზაზე, რომელიც ასე საჭიროა იქ, სადაც მძვინვარებს მალარია, სადაც მძვინვარებს ჰლექი და მრავალი სხვა სნეულებანი, რომელნიც ალაგმას და სრულ განადგურებას უქადიან ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში მცხოვრებ ხალხს.

**ნიკო ახლანიშვილი.**

სრულ 11 საათზე თავისუფლების მოედან ...ვსეა პატარა ბავშებით. ტრამვაის მოძრაობა შე...რებულია.
იღება ფოტოგრაფიული სურათები.
12 საათზე პირველ საბავშო მიტინგს ხსნის ამხ. მარიამ ორახველაშვილი და ულოცავს ახალგაზრდა მოწაფეობას საკუთარი დღესასწაულის დასებას.
შემდეგ ლაპარაკობენ ახ. კ. კ. წარმომადგენლები. საინტერესოა გამოსვლა შრომის სკოლის მოწაფეების, რომლებიც გაბედულად და ახალგაზრდული ოვაციებით აღნიშნავენ თავიანთი დღის მნიშვნელობას.
მიტინგის დასრულების შემდეგ რუსთაველის პროსპექტით ბრუნდება მოწაფეთა პროცესია თავიანთი სკოლებისაკენ.

სალ. 4 საათიდან შრ. სკოლების უფროსი კლასებისათვის იმართება სასპორტო ტანვარჯიშობანი წინასწარვე განზრახულ ადგილებში. უმცროსი კლასების მოწაფეები იგზავნებიან მახლობელ კინოებში, სადაც აჩვენებენ დიდაქტიურ ხასიათის სურათებს.
სალ. 7 საათიდან ზოგიერთ სკოლებში იმართება მოწაფეთა სალიტერატურო სალამოები, სადაც სხვებთან ერთად ესწრებიან პროფ.-კავშირის წევრნი—მუშებიც.
სალამოს ჟამს ტფილისს დაფრენს რამდენიმე ჰაეროპლანი, რომლებიც ყველა სასპორტო მოედნების პირდაპირ ყრიდენ პატარა ფურცლებს სხვა და სხვა წარწერებით.
დღემ ძალიან მხიარულად ჩაიარა.
**სალამი ბავშებს.**

ვ. თ.

# მუშათა ცხოვრება

ხუთშაბათს, მაისის 24-ს, მუშათა სასახლის ...ლ დარბაზში შესდგა მბეჭდავი მუშათა კრება. ...ის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) ცენტრალურ გამგეობის მოხსენება თავის მუშაობის შესახებ; 2) მოხსენება პოლიგრაფიულ განყოფილე...; 3) ბიუროს ანგარიში თვითდამხმარე კასისა; ...დელეგატების არჩევა სრულიად საქართველოს პროფკავშირების მე-3-ე სიეზდზე და ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა კონფერენციაზე და 5) მიმდინარე საკითხები. გამგეობის მუშაობის შესახებ, მოხსენებით გამოვიდა ამხ. ვ. ბერბერაშვილი; პოლიგრაფიის ამხ. სერიხი და თვით დამხმარე კასის ...ხარაზიანი. მოხსენებებს კრებაზე კამათი არ გამოუწვევია. იყო შეკითხვები რაზედაც მომხსენებლებმა ამხანაგებს დამაკმაყოფილებელი პასუხი ...ცეს.
გამოტანილია რეზოლიუცია როგორც პროფკავშირის, აგრეთვე პოლიგრაფიის მუშაობას დამაკმაყოფილებლად სთვლის თუმც კი მოუწოდებს განსაკუთრებით პროფკავშირს, რომ მან მეტი ენერგიული მუშაობა აწარმოოს კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებით, როგორც მბეჭდავ მუშებს შორის, აგრეთვე ახალგაზრდებში.
დასასრულ კრებამ, ზემოაღნიშნულ სიეზდკონფერენციაზე აირჩია სამი დელეგატი ვ. ბერბერაშვილის, ვ. ბოლქვაძის და ნ. ნიკიტინის სახით.
კრება გათავდა ღამის 10 ნახ. საათზე ინტერნაციონალის სიმღერით.

**მბეჭდავი მუშა დ. მ—ლი.**

### უცნაური ბეგარა.

ტფილისის ალმასკომის საბინაო განყოფილების მუშა-მოსამსახურეთა განადგურებული მატერიალური პირობებს, რომლის შესახებაც ჩვენა გვაქვს ინტერესო მასალა და რომელსაც ახლო მომავალში გამოვაქვეყნებთ,—ზედ დაერთო ერთი მეტად უცნაური ბეგარა.
მაისის 17, მოგვიხდა ხსენებულ მუშა-მოსამსახურეებს მაისის ანგარიშში ჯამაგირების მიღება. ...ების დროს აღმოჩნდა, რომ რამდენიმე მუშას (და არა ყველას) დაგვიკავეს 1 მილ. 600 ათასი მანეთი. ჩვენ შეკითხვაზე ბუჰგალტერიაში გვიპასუხეს: რადგან თქვენ ინდივიდუალური სახით ღებულობთ ჯამაგირებს, ამიტომ თანახმად დეკრეტისა თქვენ უნდა გადაიხადოთ სამოქალაქო გადასახადი 800 ათასი მანეთი, და რადგანაც ალმასკომის ...არომ თავის დროზე არ შეიტანა ხვედრი ფული, ამიტომ თქვენ უნდა გადაგხდეთ ორმაგი საურაო.
ამას გვეუბნებიან ჩვენ, პროფკავშირის წარმომადგენელ მუშებს, იმ მუშებს, რომელნიც ქარხნებიდან მოგვხსნეს ამ 9 თვის წინეთ და დღევანდლამდე განვიცდით დიდ შრომას და შრომის ჯილდოს ცუდ პირობებს, რომელთა უმნიშვნელო ჯამაგირებს დაარქვეს „ინდივიდუალური" და ...ლის რაოდენობა გამოიხატება 15 მილ. მანეთ ...აი ამ მუშებს დღევანდელ ბაზრის საარაკო პირობებში 15 მილ. ამღებ ხალხს გვახდევინებენ ბეგარას „პენიებით" და ეს მაშინ, როდესაც ჩვენი ...ნაგი მუშები, რომლებიც ჩვენ დავსტოვეთ ქარხნებში, მაგალითად მე-9-ე კატეგორიის მუშა, ...ბს ბონებით დაახლოვებით 40 მილ. მანეთს, და ...საც; ასეთი კატეგორიის მუშები სრულიად თავისუფალნი არიან ყოველგვარი გადასახადისაგან. ...თუ 40 მილ. ამღები მუშა-მოსამსახურე თავისუფლდება გადასახადისაგან, საკითხავია; ჩვენ რისთვის დავიბეგრეთ?
იმიტომ ხომ არა, რომ ჩვენი ჯამაგირები რამდენიმე თვეა 12—15 მილ. მანეთს არ გასცილებია ...და კიდევ იმიტომ ხომ არა, რომ კავშირების კატეგორიებს „ინდივიდუალური" დაარქვეს?
კარგი მსხვერპლია, თქვენ ნუ მომიკვდებით!
ჩვენ ვიცით მაღალი თანამდებობის პირები, ...ცები და სხვა რომელნიც მართლაც ინდივიდუალური სახით იღებენ ჯამაგირებს, რომლის რაოდენობა გამოიხატება 150—200 მილიონებში, მაგრამ რა შუაში ვართ საბრალო ხალხი, რომელნიც მართლაც სასტიკ პასუხსაგებ საქმეებს ვასრულებთ და შრომის ჯილდოს კი რაღაც უმნიშვნელო 15 მილ. მანეთს ვიღებთ თვეში და აქედან 2—3 მილ. პროფკავშირის და სხვათა სასარგებლოდ ვიხდით.
ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს ასეთ „ჯელზე" ყოველი პატიოსანი და შეგნებული მოქალაქე დაფიქრდება და თანაც იტყვის: აქ უეჭველად გაუგებრობა მომხდარაო.
ჩვენც ასე ვფიქრობთ, რაღა თქმა უნდა, რომ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე და უბედურებაც ის არის, რომ კანცელიარიული სისტემებით ძალიან ძნელი ხდება ამ გაუგებრობის ფარდა ახადო.
აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 1923 წელში ჩვენ მიერ ეს გადახდილი ბეგარის თანხის რაოდენობა, არც ერთ ჩვენს პირად დოკუმენტში არ აღნიშნეს.
ჩვენ გვინდა ვკითხოთ ჩვენს მმართველობას:—თუ რომ მართლა ბეგარა ჩვენ „კანონიერად" გადაგვხდა, რატომ მოხდა. რომ გადაგვახდევინეთ ჩვენს განყოფილებაში მხოლოდ 4—5 მუშას და არა ყველას?
დაუშვებელია ასეთი დეფექტები მუშათა ცხოვრებაში მაშინ, როდესაც გვყავს მართველობა და მრავალი ორგანიზაციები.
დიახ, უცნაური ბეგარაა და აბა ერთი მიბრძანეთ, თუ როგორ არ იქნება უცნაური, როდესაც ჩვენ, პროფკავშირის წარმომადგენელ მუშებს, რომელნიც თვიურად ვიღებთ 13—15 მილ. მანეთს, დავიბეგრეთ იმდენით, რამდენითაც დაიბეგრა თითქმის ყოველი ვაჭარ-სპეკულიანტი! სად არის წესი?

**თანამშრომელი.**

## საბჭოთა მოსამსახურეების კავშირში

**1923 წლის თებერვლის, მარტის და აპრილის მუშაობის ანგარიში.**

საანგარიშო დროს განმავლობაში კავშირმა განახორციელა იანვრის ბოლო რიცხვებში შემუშავებული და გამგეობის პლენუმის მიერ დამტკიცებული გეგმა.
ამ დროის განმავლობაში კავშირმა დასდო კოლექტიური ხელშეკრულებები კერძო, სამეურნეო და კოოპერატიული ორგანიზაციების ყველა მოსამსახურეებზე.
კავშირის წევრთა საერთო რიცხვი უდრის 6,323.
სახელმწიფო დაწესებულებათა ფონდების განსაზღვრაში კავშირმა მონაწილეობა ვერ მიიღო. იგი მხოლოდ თვალყურს ადევნებდა, რომ გაცემული ფონდი სისწორით ყოფილიყო დანაწილებული თანამშრომელთა შორის.
რაც შეეხება კოლექტიური ხელშეკრულებების დადებას, საჭიროა აღინიშნოს, რომ 31 ხელშეკრულებაში და 88 სატარიფო შეთანხმებაში მოქცეულია 2,767 კაცი, ე. ი. 44,5 პროც.
ანარიცხები კულტურმუშაობისთვის უდრის საშუალოთ 2 პროც. კოლექტ. ხელშეკრულებებით და 3 პროც. სატარიფო შეთანხმებებით.
თითქმის ყოველ ხელშეკრულობაში სალიკვიდაციოს და შვებულების მაგიერი ჯილდოს რაოდენობა გადიდებულია.
კავშირის სხვა წევრთა შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი ღებულობენ შრომის ხელფასს, გადიდებულ განაკვეთებით ხელშეკრულების გარეშე—ასეთებია სამხედრო და პროფესიონალური ორგანიზაციების და წვრილი სავაჭრო-სამრეწველო წარმოებათა მოსამსახურენი.
შემფასებელი საკონფლიქტო კომისიები მოიწყო ყველა დაწესებულებაში და კარგათაც მუშაობდნენ.
მუშაობა ამ ბოლო ხანებში სამაზრო განყოფილებებშიაც არის გაცხოველებული. მაზრებში უმცირეს ხელფასათ მიღებულია 8—9 საქონლ. მანეთი. უკანასკნელი თვეების ცნობებით ეს მინიმუმი ცოტათი შემცირებულია (6—7 მან.) ხოლო აღმასკომები გადაყავთ სახელმწიფო უმცირეს ხელფასზე.
კავშირის სატარიფო-ეკონომიურმა განყოფილებამ სამაზრო განყოფილებებს დაუგზავნა ანგარიშიანობის და ზედმეტი მუშაობის აღსარიცხავი, გაუგზავნა აგრეთვე სახელმძღვანელო დებულებები, შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის შესახებ.
საანგარიშო ხნის განმავლობაში კავშირის სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებაში შემოსულია გასარჩევად 94 უთანხმოება. ზოგი მათგანი გადაეცა მომრიგებელ კამერებს, სამედიატორო სასამართლოს ან შრომის სახ. კომ.-ის კომისიას, ზოგიც გადასწყვიტა და მოაწესრიგა თვით ხსენებულმა განყოფილებამ.
კავშირის წევრთა ინტერესების დასაცავად სატარიფო განყოფილებამ გააგზავნა თავისი წარმომადგენელი საკონფლიქტო კომისიაში ყველა საქმეების 95 პროც. დასრულდა კავშირის წევრთა სასარგებლოდ. საკონფლიქტო და მომრიგებელ კამერებში სულ 22 საქმე გაირჩა.
შრომის დაცვის წესების დარღვევასთან საბრძოლველათ კავშირის წარმომადგენელი და შრომის ინსპექტორი ათვალიერებდა დაწესებულებას.
დათვალიერებულია 29 დაწესებულება.
ზედმეტ მუშაობასთან ბრძოლაში თავი გამოიჩინა რუსეთის საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა, რომელმაც არ მოისურვა შრომის ბირჟიდან თანამშრომლების მოწვევა 22 წლის ანგარიშის შესადგენათ და უნდოდა მთელი ეს უზარმაზარი სამუშაო დაეკისრებ ა თავის მოსამსახურეთათვის ზედმეტ სამუშაოთ. დიდი კამათის და ბრძოლის შემდეგ, კავშირის სატარიფო განყოფილებამ მაინც მოახერხა 3 უმუშევრის გადმოყვანა ამ სამუშაოზე, რითაც შემცირდა ზედმეტი მუშაობა და საღამოთი მომუშავე თანამშრომელთა რიცხვი. საზოგადოთ მარტში და აპრილში ზედმეტი სამუშაოთა რიცხვი ძალიან შემცირდა.
რაც შეეხება უმუშევარ, სატარიფო განყ. იღებს ყოველგვარ ზომებს, რათა უმუშევარი, რომელთაც აგზავნის სამუშაოზე შრომის ბირჟა, მიღებულნი იყვენ დაწესაულებების მიერ, რადგანაც ხშირად ხდება, რომ დაწესებულებას არ სურს მიიღოს სამუშაოზე შრომის ბირჟის მიერ გამოგზავნილი უმუშევარი. თებერვალში და მარტში სია შედგენილი იყო 350 უმუშევარზე, ეს უმუშევრები იღებდენ შრომის ბირჟიდან დახმარებას (საშ. 7000,000-დან 1,100,000 მდე) ჩვენი კავშირის უმუშევართა საერთო რაოდენობა უდრის 700 კაცს.
ამ ჟამად ხდება ჩვენი კავშირის უმუშევარ წევრთა აღრიცხვა, რათა წესიერად დაურიგდეს მათ დახმარებები კავშირის სპეციალური (ირგ. გარ-და) რასაც ისინი იღებენ დამხმარე კასიდან).
მათთვის ეწყობა აგრეთვე ... ერთ დახმარების კასაში მონაწილეობს 23 დაწესებულება 956 მოსამსახურეთი. გადასახადი შემოვიდა 1.005,304,966 მან. გადახდილი ვალი 74,000,000 მ. სულ 1,079,804,960 მ. გაცემულია სესხი 591,5000,000 მ. დარჩა კასაში—585,804,960 მ.

# პარტიაში

— კვირას, მაისის 27, დღის 11 საათზე დანიშნულია „ტრიბუნის" რედაქციაში მთავარი კომიტეტის სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ სარედაქციო კოლეგიის და სარევიზიო კომისიის წევრებიც. განსახილველია გადაუდებელი საკითხები და ამხანაგებს ვსთხოვთ აუცილებლათ დანიშნულ დროზედ გამოცხადდენ.
— ტფილისის რაიკომების პასუხისმგებელი მდივანი ამით აცხადებს რაიკომების ცალკე მდივნების საყურადღებოთ, რომ სამი დღის განმავლობაში წარმოდგენილ უნდა იქნეს რაიკომების წევრთა სიები (მისამართების აღნიშვნით) და ყველა ოქმების ასლები.

**რაიკომების პ. მ. მდივანი.**

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ემიგრაცია გერმანიიდან 1913—22 წლ.** გერმანულ სტატისტიკური უწყების მიერ, გამოქვეყნებული არის ცნობები გერმანიიდან ემიგრაციის შესახებ აღნიშნულ პერიოდში. 1913 წელს ემიგრანტების რიცხვი შეადგენდა 25,843, 1920 წ.—8458, 1921 წ.—23,254, 1922 წ.—36,537, 1920 წელს ემიგრანტთა მცირე რაოდენობა იმ გარემოებით აიხსება, რომ ემიგრაცია გერმანელებისათვის ოკეანის იქით მდებარე ქვეყნებში,—დაკავშირებული იყო უძლეველ დაბრკოლებებთან მხოლოდ 1921 წ. დადგა ამ მხრივ სასურველი მდგომარეობა და ემიგრანტთა რიცხვმა უცბათ აიწია. გერმანელ ემიგრანტთა რიცხვიდან 75 პროც. შეერთებულ შტატებში და სხვა ოკეანის იქით მდებარე ქვეყნებში მიიმართება; ამასთან 1920 წ. გერმანელ ემიგრანტების მხოლოდ 10 პროც. გაემგზავრა გერმანიის ნავთსადგურებით ჰამბურგითა და ბრემენით, რაც იმით აიხსნება, რომ მის შემდეგ გერმანიის საოკეანო ნავოსნობა მოიშალა. მაგრამ 1922 წ. უკვე გერმანელ ემიგრანტების 91 პროც. გაემგზავრა გერმანიის ნავთსადგურებით, რაც თავისი მხრით მხრით იმის მაჩვენებელია, თუ როგორ სწრაფათ გამოსწორდა გერმანიის ნავოსნობა. ემიგრანტების სოციალური შემადგენლობა ასეთია: სამრეწველო და ამშენებელი მუშები—11.554, სასოფლო-სამეურნეო მუშები და წვრილა გლეხობა—8098, ვაჭრები—4920 ჰასაკის მიხედვით ემიგრანტები ასე ნაწილდებიან: 50 პროც. შებდგენს 17—30 წლამდე, დანარჩენები კი უფროსებია. 24.717 ემიგრანტი იყო უცოლო და მხოლოთ 11.170 ცოლიანი. ყველაზე მცირე ემიგრანტებს იძლევა გერმანიაში სამთო საქმე. 1922 წელს სულ 740 კაცი.

**მუშათა მოძრაობა ამერიკაში.** ამერიკის საქსოვ ფაბრიკების მუშები გამოვიდნენ მოთხოვნილებით, რათა გადიდებულ იქნეს მათი სამუშაო ხელფასი 30 პროცენტით. საინტერესოა, რომ მწარმოებლებს სურდათ ამ გადაწყვეტილების მიღებამდე საფუძველი გამოეცალათ მოთხოვნილებისათვის სამუშაო ხელფასის ნებაყოფლობითი გადიდებით 10-დან 15 პროცენტამდე. საქსოვი მრეწველობის კამპანიის ასეთი სიუხვე აიხსნება მით, რომ 1921 წელს, როდესაც ამერიკაში კამპანია სწარმოებდა სამუშაო ხელფასის შესამცირებლად,—სამუშაო ხელფასი ამ დარგში 22 პროცენტით იქნა შემცირებული. მაშინ მუშებმა ვერ შესძლეს წინაალმდეგობის გაწევა, რადგან მთელ ქვეყანაში დაიწყო ეკონომიური კრიზისი, რომელიც ხელოვნურად იყო გამოწვეული სამრეწველო მაგნატების მიერ და პროფკავშირების წინაალმდეგობა მახვილს ჩასცემდა მუშათა მოძრაობას საერთოდ. ამ ჟამად კი ეკონომიური მდგომარეობა რამოდენიმეთ შეცვლილი არის, ორგანიზაციული მუშაობა წელს იმაგრებს; ამიტომ პროფკავშირები იწყებენ ბრძოლას სამუშაო ხელფასის იმ მდგომარეობაში აღდგენისათვის, რომელიც არსებობდა 1921 წლის ლოკაუტამდე. მქსოველი მუშები პირველნი გამოვიდნენ და ალბათ მას მიყვებიან მრეწველობის სხვა დარგის მუშებიც. საქსოვ სამრეწველო ტრესტის წინადადებანი პროფკავშირების მიერ კატეგორიულად არის უარყოფილი. მქსოველებს მიბაძეს საალმშენებლო მრეწველობის მუშებმაც, რომელთაც მწარმოებლებს უკვე წარუდგინეს ანალოგიური მოთხოვნილებანი; მრეწველობის ამ დარგში გაფიცვებიც კი დაიწყო.

# პროვინციაში

### წერილი ზუგდიდიდან

არასოდეს დამავიწყდება ერთი მართლაც რომ მახვილი კარიკატურა:
გიგანტის ნაბიჯით მიექანება წინ ჰერკულესი სიძვირე, რომელსაც, საზღაპროთ მაღალ ფეხებს გარდა, ფრთებიც გამოსხმია. მას უკან საგრძნობ მანძილზე დაშორებულნი თავგანწირვით მისდევენ ჯამაგირის შემყურე მოსამსახურენი, რომელნიც სიმშილისაგან ჩონჩხებად და ლანდებად ქცეულან.
დევ-გმირი სიძვირე ზვიადათ მოიხედავს უკან, უარის ნიშნად გაიქნევს ხელს და ველური კმაყოფილებით გასძახებს: „ვერ დამეწევითო!"
ღონე მიხდილს და სასოწარკვეთილ ბრბოს ათასგვარი სნეულებანი სდარაჯობენ გზადაგზა; შუაში—კი ჩადგომით საშინელი ჩვენება ცელით ხელში და უთავბოლოთ სთიბავს მათ, და სცვივიან საბრალონი შემოდგომის ფოთლებივით.
დიახ, ეს კარიკატურა კი არა, სამწუხაროდ, ჩვენი რეალური სინამდვილის სურათია.
ამ ბოლო დროს ხშირად გაისმის: „მოსამსახურეთა მდგომარეობა შედარებით ძალიან გაუმჯობესდაო".
თვალის ერთი გადავლებით, გარეგნულად თითქოს აგრეა, მაგრამ როცა საქმის ვითარებას ღრმად ჩაუკვირდებით, დაინახავთ, რომ მოსამსახურეთა ნივთიერი მდგომარეობა დღითი-დღე უარესდება.
შესაძლოა—ქალაქში მოსამსახურეთა მდგომარეობა მართლაც იყოს გაუმჯობესებული, მაგრამ ეს არ ითქმის პროვინციაზე. თუ რიცხვით არა. მნიშვნელობით მაინც თანასწორნი არიან ქალაქისა და სოფლის მოსამსახურენი. ვიტყვი მეტსაც: კულტურულ ცენტრებისაკენ უფრო პირადი კეთილდღეობისათვის მიილტვიან მოსამსახურენი, ხოლო მასსა, რომელზედაც ვამყარებთ ჩვენი ქვეყნის მომავლის იმედებს, ეს სოფლებშია, პროვინციაში. და აი სწორედ აქ, ამ მშრომელ მასსაში უხდება მუშაობა პროვინციელ მოსამსახურეებს.
მეც უმთავრესად ეს მოსამსახურანი მყავს მხედველობაში და ვამბობ, რომ მათი ეკონომიური მდგომარეობა, არამც თუ უმჯობესდება, დღითიდღე უარესდება.
რაშია საქმე მთავრობა თითქო ყოველ თვიურად უმატებს მათ ჯამაგირს განსაზღვრული პროცენტებით? მაგრამ საქმე იმაშია, რომ რაც უნდა პროცენტებით გაადიდონ მარტის ჯამაგირი, იგი მაინც ვერ დაეწევა და ვერ აუვა მაისის სიძვირეს.
ასეთია ზუგდიდის მაზრაში მოსამსახურე მასწავლებელთა მდგომარეობა. ისინი ზოგჯერ ორიასამი თვით დაგვიანებით ღებულობენ ჯამაგირს. მაგ. მარტის ჯამაგირი მხოლოდ მაისში მიიღეს.
ეს გარემოება საშინელსა და აუტანელ პირობებს ქმნის მოსამსახურეთათვის. მარტის ჯამაგირი რომ თავის დროზე მიეღოთ, რაც უნდა ცოტა თანხა ყოფილიყო, მაინც მოგებული იქმნებოდნენ, ვინაიდან მაშინ ალაბი ჩითი 200.000 მანეთად ღირდა, დღეს—კი როცა იგივე ჩითის არშინი 800.000-დან მილიონამდე ავიდა, მარტის ჯამაგირი სულ 4—5 ალაბი ჩითის ფასს შეადგენს.
ამგვარად, შედარებით არ უმჯობესდება მაზრაში მოსამსახურეთა თვიური მდგომარეობა. ეკონომიურად დაქვეითებული მოსამსახურე ეცემა სულიერად და ზოგჯერ ზნეობრივათაც და წმინდა მოვალეობის პირნათლად შესრულებაზე უკვე ველარ ფიქრობს.
ზოგჯერ კრედიტი თავის დროზე იხსნება, მაგრამ ადგილობრივ ხაზინის ფულის ნიშნები არ მოსდის დროზე და კრედიტი მთელი თვეობით გაუნაღდებელი რჩება.
ცოტათი უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ დღემდე ალმასკომის ხარჯზე მყოფი მოსამსახურენი, მაგრამ ამ ბოლო დროს აქაც დაიწყეს ჯამაგირების დაგვიანება.
საჭიროა ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება მიექცეს, რომ მოსამსახურეებს არ წავართვათ ერთგულად სამსახურის ხალისი და ხელისუფლებასაც ჰქონდეს ზნეობრივი უფლება მოსთხოვოს მათ დაკისრებული საქმის სიყვარული.

**ოდიშელი.**

# მეაბრეშუმეობის საქმე

უდაოა ის დებულება, რომ სწორ ნიადაგზე დამყარებული მეაბრეშუმეობის საქმე არის ერთად ერთი დიდ-შემოსავლიანი წყარო სახელმწიფოსათვის, რომელსაც შეუძლია რამოდენიმეთ მაინც გამოაკეთოს ეკონომიური მდგომარეობა და წარმატების გზაზე დააყენოს. ამისათვის საჭირო იყო და

არის მიზან-შეწონილად წარმოება ამ დარგში მონოპოლიის, რომ მისგან არ უნდა იჩაგრებოდეს არც წარმოებელი კლასი ე. ი. სოფლის მუშები, რომელთაც მოჰყავთ აბრეშუმი და არც სახელმწიფო, რომელიც აწარმოებს მონოპოლიას.

სახელმწიფომ ისე უნდა მოაწყოს მეაბრეშუმეობის საქმე, რომ რაც შეიძლება მეტად დააინტერესოს ხალხი და ჩააბას საქმეში, რათა უფრო მეტი საქონელი დამზადდეს.

ყოველი მხრით უნდა წაახალისოს მთავრობამ მწარმოებლები აბრეშუმის და გაასკეცებულ ენერიით მოაკიდებინოს მათ ხელი ამ საქმისთვის.

მეაბრეშუმეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ღარიბი გლეხისთვის უწინ. ეხლა—მით უმეტესად გლეხი გულის ფანცქალით ელოდება „ნააბრეშუმევს", როდესაც წითელ თუმნიანებს ჩაიკეცდა ჯიბეში აუტანელ მდგომარეობას ოდნავ მაინც გამოსასწორებლად.

მეაბრეშუმეობით ბევრი გლეხი ფეხზე დგებოდა და ცხოვრებისათვის საარსებო წყაროს იძენდა. ეს მაშინ იყო, როდესაც აბრეშუმი უვარდებოდა ხელში, ჩარჩებს, სპეკულიანტებს, რომელნიც ცდილობდენ რაც შეიძლება იაფად ეყიდათ და ძვირად გაეყიდათ.

ეხლა, როდესაც ჩარჩები ალაგმულია და ეს საინტერესო საქმე მთავრობას უპყრია ხელში, რა თქმა უნდა უკეთ უნდა იყოს ეს საქმე მოგვარებული გლეხების სასარგებლოდ. აბრეშუმის წარმოებაში მთავრობამაც უნდა ისარგებლოს და აგრეთვე ხალხმაც, რომელმაც წვითა და დაგვით მაიწია აბრეშუმი.

ცხადზე უცხადესია ის, რომ ყოველი წარმოება ფრთებს მაშინ შლის, როდესაც მწარმოებელს მისგან საგრძნობი მოგება რჩება. ის მაშინ უფრო არის იმ საქმით დაინტერესებული, რადგანაც ელის მის საქმიდან სასურველ ნაყოფს. ასე არის მეაბრეშუმეობის საქმეც. სოფლის მუშა იმ შემთხვევაში იქნება დაინტერესებული მეაბრეშუმეობას, თუ ის მისგან მიიღებს მოგებას; წინაალმდეგ შემთხვევაში უკუაგდებს და დასწყევლის მას.

ნიკოლოზის დროს ხალისიანი მუშაობა სწარმოებდა ამ დარგში, იმიტომ რომ მეაბრეშუმეობა შემოსავლიან წყაროდ იყო მიჩნეული. მენშევიკების დროს მეაბრეშუმეობა გაქრა, ასჯერ დაეცა; ამის მიზეზი სხვა და სხვა გვარი იყო: კარგი თესლის უქონლობა ექსპორტის მოუგვარებლობა და სხ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში, ამ წარმოებას დღითი დღე დაეტყო გამოცოცხლება. მთავრობა შეეცადა კარგი ჯიშის თესლის მიწოდება მშრომელთადმი. ამის ნაყოფს ჩვენ უკვე ვხედავთ.

გასულ წელს არაჩვეულებრივი მოსავალი იყო ჩვენში აბრეშუმის; დიდ-ძალი პარკი დაგროვდა და კარგი ფასადაც გაყიდა მთავრობამ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობამ ჯერ-ჯერობით ვერ გაამართლა ყველა ის დაპირებები, რომლითაც გლეხები სულდგმულობდენ. აბრეშუმის ფასის მიწოდება ხდებოდა ნატურით და ტეხნიკურათ ძალიან ძნელი მოსავგარებელი შეიქნა. რა თქმა უნდა ნატურით მიწოდება უკეთესია, მაგრამ გამოუცდელობისა თუ სხვა და სხვა მიზეზების გამო დიდათ ფერხდებოდა და ძნელდებოდა მიწოდება საქონლის. ხშირად შეხვდებოდა 10—15 ჯერ მისვლა კოოპერატივში და მაშინაც ძნელდებოდა. ასე რომ, აბრეშუმის მოწევას, რომ დრო უნდა მისი ნახევარი ფასის აღებას უნდება. ალბად ეს გამოუცდელობის გამო ხდებოდა, რადგანაც პრაქტიკაში ასეთი წესი ახალი გატარებული იყო. მთავრობა პირდება ხალხს მეორეჯერ მიწოდებას აბრეშუმის საფასისას. ხალხიც მოუთმენლად ელის ჩითებს და ნარმას. ერთად ერთი შემმოსავი გლეხისა არის აბრეშუმისაგან აღებული ფართალი, თორემ ისე მას არ ძალუძს იყიდოს, რადგანაც ყველაფერი მამასისხლად იყიდება. ხუთი ფუთი სიმინდი ერთ არშინ ჩითს ვერ უყიდის. მაგრამ ვის აქვს სიმინდი გასაყიდი! უმეტეს ნაწილს კი საყიდელი აქვს. აი ამისათვის ხალხი ცის მანანასავით ელის შარშანდელი აბრეშუმისგან დარჩენილ საფასს.

იგი თუ თავის დროზე არ იქნა მიწოდებული, დიდს უკმაყოფილებას გამოიწვევს ხალხში და გაუნახევრებს მას იმ ენერგიას, რომელსაც მეაბრეშუმეობას ანდომებდა. აი, ამისათვის მთავრობამ ყოველი ღონე უნდა იღონოს, რათა შეასრულოს დაპირებები და შექმნას გლეხებში დიდი ენტუზიაზმი მეაბრეშუმეობის ასაყვავებლად.

Chahlico.

მაშობდა. კარგი იყო თვით მობენეფისე. ფროშარის როლში. კარგად იქმნა შესრულებული უკანასკნელი მოქმედება. მობენეფისეს ოვაციები გაუმართეს. მიართვეს საჩუქრები და ყვავილები. საზოგადოება საკმაოდ დაესწრო.

ვ. ბ.

---

სომხეთის სახელმწიფო თეატრის გამგეობის დადგენილებით, ერევნის აკადემიური დასის მსახიობნის ფაფაზიანი, ა. ვოსკანიანი, მალვენიანი, ასმიკი და ქალანთარი, მთელი ზაფხულის თვეების განმავლობაში ინახებიან აკადემიური თეატრის ხარჯით.

სომხურს ენაზედ გამოვიდა ლიტერატურულ-მეცნიეულ-პოლიტიკური ჟურნალის „ნორქ"-ის მე 2 №-რი, რომელშიაც მონაწილეობენ სომეხთა ცნობილი მწერალ-პოეტნი.

ერევნის ახალგაზრდა-კომუნისტებმა გამოსცეს თვიური ჟურნალი „პატ-კომ"-ის 1 №-რი. სახელმწიფო გამომცემლობა.

ვ. ბუთლიაშვილმა დასწერა პიესა სურამის ციხე. 4 მოქმედებმდ და 5 სურათად ეპილოგით. სიუჟეტი აღებულია დ. ჭონქაძის ცნობილი მოთხრობიდან. პიესაში დაცულია მოთხრობის უმთავრესი ეპიზოდები დედა-აზრითურთ.

---

**საოპერო თეატრში.** ხელოვანთა კავშირმა დაადგინა სადელმწიფო საოპერო მუშებს, რომელთაც უმოლვაწნიათ 25—50 წლამდე, გადაუხადონ პროფ-იუბილე. იუბილე დანიშნულია 28 მაისს, 12 საათზე სახელმწიფო საოპერო თეატრში. საიუბილეო კომისიის საპატიო თავმჯდომარეთ არჩეულია მცხოვანი და დამსახურებული კომუნისტი ამხ მიხ. ცხაკაია.

---

**წითელ ჯვრის სასარგებლოთ.** დღეს რუსთველის თეატრში ალ. წუწუნავას ხელმძღვანელობით დაიდგმება პიესა ნინო ნაკაშიძისა „ვინ არის დამნაშავე".

**წერილი რედაქციის მიმართ.**

1917 წლიდან ვმუშაობდი საქართველოს სოც.-ფედერალისტთა პარტიაში. 1919 წლიდან საბჭოთა წესწყობილების დამყარების დღიდგან მქონია საშუალება, ოჯახური მიზეზების გამო, ტიურათ მემუშავნა ხსენებულ პარტიაში. ვინაიდ სრულიად ვიზიარებ საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიის აღებულ პლატფორმა როგორც ერისა და ფედერალიზმის საღ დამცველ, ამისათვის დღეიდან მსურს ვიმუშაო ამ პარტია მთელი ჩემი ენერგიით მშრომელთა ხალხის სა[ა]თილდღეოთ.

სტუდენტი აკაკი სალარაძე.

---

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.


გაზეთ
„ტრიბუნის"
კანტორისაგან
ივნისის 1-დან „ტრიბუნა"
ელირება:
თვიურად . . 1000,000 მ.
ცალკე ნომერი . 40,000 „


## სხვა და სხვა

— **მუშათა უნივერსიტეტი ამერიკაში.** უკანასკნელ დროს ამერიკაში გაძლიერებული ტემპით მიდის მუშათა უნივერსიტეტის შექმნა ე. ი. ისეთი უმაღლესი შკოლების, რომელთაც პროფესიონალური ორგანიზაციები ინახავენ. პირველად ასეთი უნივერსიტეტი დაარსა თავის წევრებისთვის ქალთა მკერვალების უნონმა ნიუიორკში, ფილადელფოსა და ბასტონში. ნიუიორკის მუშათა უნივერსიტეტი დაარსებულ იქნა 1916 წელს. პირველ სამ წელს ეს უნივერსიტეტები დაამთავრა 800 მუშა-სტუდენტმა. სწავლა სწარმოებს ქალაქის დაბალ და საშუალო შკოლების ბინებში. კურსი შეიცავს ისეთ საგნებს როგორიცაა სოციალური ჰიგიენა, ლიტერატურა, სოციოლოგია, კოოპერატიული საქმე, ისტორია, მუშათა მოძრაობა, კანონმდებლობა. მასწავლებელთა შორის არიან უნივერსიტეტის პროფესორებიც. 1913 წელს დაარსებულ იქნა მეორე მუშათა უნივერსიტეტი „ბასტონის ტრედ-უნიონის კოლეგი". იმავე წელს დაარსებული იქნა მუშათა უნივერსიტეტი ვაშინგტონში; ამის შემდეგ კი დაარსდა ამერიკის მთელ რიგ ქალაქებში. ლოს-ანჯელსში ტრედ-უნიონებმა დაარსეს უნივერსიტეტი ადგილობრივი თვითმართველობის დახმარებით, რომელმაც მნიშვნელოვანი სუბსიდია გაიღო. ყველა მუშათა უნივერსიტეტები იმყოფება ადგილობრივ პროფესიონალურ ორგანიზაციების კონტროლის ქვეშ. იმავე კონტროლის ქვეშ არის თვითგანვითარების კურსები სხვა და სხვა დარგისა, რომლებიც უნივერსიტეტთან არის შექმნილი. მუშათა უნივერსიტეტებიდან უმთავრესად ისეთი მუშები გამოდიან, რომელთაც სურთ სავსებით ჩაებან მუშათა (პროფესიონალურ) და კოოპერატიულ მოძრაობაში. ამ მიზნისადმი არის შეფარდებული უნივერსიტეტის პროგრამაც; მაგრამ ზოგიერთ უნივერსიტეტში ისეთ საგნებსაც ასწავლიან, როგორიცაა ქიმია, მექანიკა და სხ. რომელნიც უმაღლეს ტეხნიკურ განათლებას იძლევიან.

## ხელოვნება

**სახალხო სახლი.** ოთხშაბათს 23 მაისს, სახალხო სახლის ქართული დრამის მსახიობთა მიერ. წარმოდგენილ იქმნა ახალგაზრდა დრამატურგის ნ, გერგესელის პიესა „ელეონორა", დრამა 3 მოქმედებათ ალ. ყაზბეგის მოთხრობიდან გადმოკეთებული. რამდენათაც კი მოთხრობის ფაბულა ამის შესაძლებლობას იძლევა. ვახტანგის როლს ასრულებდა, მსახიობი თაზიშვილი, რომელიც საზოგადოთ კარგი და სინიდისიერი შემსრულებელია ნაკისრ როლების. ეხლაც დაკვირვებით ასრულებდა ვახტანგს, კარგი ჰქონდა გრიმ, გარეგანი შეხედულობა, მიხვრა-მოხვრა; ნამდვილი დარბაისელი თავადის ტიპი მოგვცა, მხოლოდ მსახიობის ნაკლს ის შეადგენს, რომ მიუხედავად მისი კარგი და სასიამოვნო ხმისა, გამოთქმა ყრუ აქვს და მკაფიოდ ისმის.

მისი სიტყვები. სუსტი დიქცია აქვს და ამას უნდა მიაქციოს მსახიობმა ყურადღება. კარგი იყო ლევანის ამსრულებელი ლ. ადამიძე, განცდით.

მსახიობს ქონდა კარგი ლამაზი მომენტები უკანასკნელ მესამე მოქმედებაში. ხმალში გასვლის დროს, როდესაც ჰკლავს ასლან გირეეის. მხოლოდ არ ვიცით ამ ტიპს რეჟისორი რათ ამახინჯებს და კუზიანი გამოყავს, როდესაც მზგავსი რამ მოთხრობაში არ არის და არც პიესის ავტორსა აქვს ეს ტიპი ასე გაგებულ გამოხატული. ეს შეცდომაა და შემდეგში უნდა გასწორდეს, მართალია ლევანს აქვს ნაკლი ცოტათი სახისა რის გამოისობით იგი ელეონორას არ მოსწონს და არ უყვარს, მაგრამ ის მაინც ვაჟკაცია, გულადი, მებრძოლი და ასეთი მისი დამახინჯება. მისი თავ-გამოდების და ვაჟკაცობის დროს. რაღაც მიუღებელსა ხდის მას. და აკი საზოგადოებაც ვერ იკავებს ამისთანა მომენტების დროს სიცილს. ასეთი მდგომარეობა მსახიობის კარგ ასრულებას აფერმკრთალებს და აქარწყლებს. ეს დაუშვებელი დამახინჯებაა ტიპისა, არ ვიცით რა მოსაზრებით. კარგი და ტიპიური იყო. მსახიობი ნინიძე,—ასლან-გირეი, მსახიობი ქალი ანკარა ასრულებდა, ელეონორას, ასრულებას არა უშავდა რა კუპრაძეს—ლეკი ისმაილ. მას აკლდა ელასტიურობა და სითამამე თავისუფალ მთების შვილისა, უფრო კარგი იქნებოდა თავდგირიძე—მეომარი მთიელ,— რომ მას ზედ მეტი ხელების ქნევა არა ჰქონოდა საზოგადოთ ამ მსახიობის ნაკლი ყოველთვის ეს არის უკანასკნელი მოქმედება, მხოლოდ რეჟისორს არ ვეთანხმებით დიდ დარბაზში. სვეტების ასე ალმართვას, ცალ-ცალად, არა თანაბრად.

---

**ნ. ჯავახიშვილის ბენეფისი.** ხუთშაბათს, 24 მაისს, რუსთაველის თეატრში ნ. ჯავახიშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქმნა ძველი ფრანგული მელოდრამა „ორი ობოლი" პიესის მთავარ როლს, მადამ ფროშარისას, ასრულებდა მობენეფისე. უნდა აღინიშნოს, რომ პიესის დადგმას მოუმზადებლობა ეტყობოდა.

მოთამაშეთა შორის ერჩეოდენ კარგის თამაშით: ნ. გვარაძე—აიერის როლში, რომელმაც თავიდან ბოლომდე დიდი გრძნობით ჩაატარა თავისი როლი, როლის უკეთ-ცოდნაც ეტყობოდა გ. დავითაშვილს, კავალერ,—ლე-მონდის როლში კარგი იყო ჩვეულებრიეად. კარგი და ტიპიური იყო პიკარი—ნ. გოცირიძე. აღსანიშნავია აგრეთვე ც. ამირაჯიბი—გენრიტ, და გრაფინია. ნ. დავითაშვილის ქალი, სუსტი იყო ა. ვასაძე—ჟაკი. მან სრულებით ვერ გადმოგვცა თავზედ-ხელ აღებულ ქურდი კაცის მკვლელი „აპაშის"-ტიპი. ამასთანავე ეტყობოდა როლის უცოდინარობა, და მსახიობი უგულოდ თა-


ტფილისის აღმასკომის
სააღგილ-მამულო განყოფ.
აძლევს იჯარით 1923 წლ. ხილის მოსავალს რიცხვით 1440 საადრევო საუკეთესო ხეებს: (ბალი, ალუბალი, ატამი, ჭერამი, ქლიავი, ალუჩა, მსხალი, ნუში, ლეღვი, კომში, კაკალი და სხვა), ყოფილ მანთაშევის მამულში, მდებარე ვარანცოვის ქუჩაზე № 125.
პირობების გაგება შეიძლება განყოფ. კანცელარიაში აღმასკომის შენობა, ოთახი № 52, მამულში კი მამულების გამგესთან. საჯარო ვაჭრობა დანიშნულია კვირას, 27 მაისს, 10 საათზე მამულში.
3—1 საადგილ მამულო განყოფილება.



ამიერ-კავკასიის
ფოსტა-ტელეგრაფის
კომისარიატი
აცხადებს, რომ მგზავრთა უფრო მოხერხებულ დროს გამგზავრებისათვის
მაისის 28-დან ავტომობილები მანგლისის მიმართულებით გავა
კვირის მაგიერ შაბათობით ნაშუადღევის ოთხ საათზე, ხოლო უკან დაბრუნდება მეორე დღეს (კვირაობით) დღის სამ საათზე. ოთხშაბათობით გავსლა-დაბრუნების დრო მველი რჩება (გავა დილის 7 ს. დაბრუნდება იმავე დღის 4 საათზე).
1—1


ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 310 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. ნყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. №.